

საქართველო თბილისი
რუსთაველის გამზ.30
ტელ:995.32.935880
ფაქსი:995.32.985880
www.cafe-rustaveli.ge

30.Rustaveli Ave
Tbilisi 0108 Georgia
Tel:995.32.935880
Fax:995.32.985880
www.cafe-rustaveli.ge

თბილისი
№ 08/15

30.06.2008

99-65-46

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ კონსტანტინე კუბლაშვილს

შპს „კაფე რუსთაველი“
(თბილისი, რუსთაველის გამზირი №30)
დირექტორი იოსებ ქიქოლაძე

Handwritten signature and date:
08.06.08
90

ბატონო კონსტანტინე,

2007 წლის თებერვლის დასაწყისში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ წარმოებაში მიიღო შპს „კაფე რუსთაველის“ სარჩელი თბილისის საგადასახადო ინსპექციის წინააღმდეგ. უკვე 17 თვე გავიდა საქმის წარმოებაში მიღების დღიდან და დღეისათვის განხილვის ერთი სხდომაც კი არ დაუნიშნავთ. მიზეზად ასახელებენ მოსამართლეთა ცვლას. ჩვენი ინფორმაციით 5-6 მოსამართლე შეიცვალა და ხდება ერთი მოსამართლიდან მეორეზე საქმის გადაცემა. ყოველივე ეს გარემოება ეჭვს ბადებს, რომ ხელოვნურად ხდება საქმის დროში გაწელვა, რაც უმძიმეს ზიანს აყენებს ჩვენს საწარმოს.

შპს „კაფე რუსთაველს“ ასობით ათასი ლარი უკანონოდ დაარიცხა თბილისის საგადასახადო ინსპექციამ, რათა ეიძულებინა თბილისში, რუსთაველის გამზირი №30-ში მდებარე ფართის დატოვება. აღნიშნული უკანონოდ დარიცხული თანხა შპს „კაფე რუსთაველმა“ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნის თანახმად, სამართლებრივი ნორმების დაცვით, დროულად გადაიხადა ბანკიდან მიღებული სესხის საშუალებით. შპს „კაფე რუსთაველს“ უმძიმეს ტვირთად აწევს ბანკიდან მიღებული სესხები და შესაბამისად, გადასახდელი პროცენტები. დღეისათვის ჩვენი კომპანია სრულიად პარალიზებულია და ყოველდღიურად ღებულობს უმძიმეს ფინანსურ ზიანს. სასამართლოს მიერ საქმის უსამართლოდ დროში გაწელვა საწარმოს მიაყენებს კიდევ უფრო მეტ ზარალს.

ასევე მინდა გაცნობით, რომ შპს „კაფე რუსთაველის“ 50% -ის მფლობელია ამერიკული კომპანია “IZEE ENTERPRISES” და ჩადებულია ამერიკული ინვესტიცია. შპს „კაფე რუსთაველის“ მიმართ ყველა უსამართლო ქმედება ჩვენი პარტნიორების მიერ მიჩნეულია როგორც საქართველოში უცხოური ინვესტიციის უგულვებელყოფა. აღნიშნულის შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმენტა ჯგუფმა საპროტესტო წერილით მიმართა საქართველოს პრემიერ მინისტრს და მთავრობას (იხ. დანართი №1).

მოგმართავთ თხოვნით, რომ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში მოსთხოვით და დროულად დაანიშნინოთ შპს „კაფე რუსთაველის“ სარჩელი განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და მოსამართლეს, ქალბატონ მირანდა ერემაძეს, რომელსაც ამჟამად აწერია ჩვენი საქმე.

შპს „კაფე რუსთაველის“
დირექტორი :

დანართი: 6 ფურცლად.

Handwritten signature
ქიქოლაძე